შესავალი

INTRODUCTION

აკადემიური ჟურნალის „ისტორიის რეკონსტრუქციები“ მეხუთე, სპეციალური ნომერი განსხვავებული ფორმატით გამოიცემა და მასში თავმოყრილია 2022 წლის 25-29 ივლისს ჩატარებული საერთაშორისო საზაფხულო სკოლის „რუსეთის და რეგიონის რეინტერპრეტაცია“ ფარგლებში წაკითხული მოხსენებები. აღნიშნული სკოლა კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისისა და რუსეთის კვლევის ცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.

სკოლის ფარგლებში მომხსენებლებმა სამხრეთ კავკასიიდან, უკრაინიდან, რუსეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და საფრანგეთიდან წაიკითხეს ლექციები უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის მიერ დაწყებულ ფართომასშტაბიან ომზე და განიხილეს, თუ რა გავლენას ახდენს ყოველივე ეს რეგიონზე და არამარტო. მკვლევრების ანალიზსა და რეფლექსიას რუსეთზე, რეგიონსა და რუსეთის მიერ დაწყებულ ომს ეთმობა გამოცემის მეხუთე ნომერი, რომელსაც წამძღვარებული აქვს კონრად ადენაუერის სახელობის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, შტეფან მალერიუსის წინასიტყვაობა.